ინტერდისციპლინური კვლევების საერთაშორისო ცენტრი

II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ინტერდისციპლინური კვლევები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში - 2025

🌸 ინტერდისციპლინური კვლევების საერთაშორისო ცენტრი, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით, მართავს II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას- **ინტერდისციპლინური კვლევები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში-2025**, რომელიც ეძღვნება დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის - **სულხან-საბა ორბელიანის გარდაცვალებიდან მე-300-ე წლისთავს.** კონფერენციის მონაწილე მომხსენებლებს გადაცემათ სამახსოვრო საჩუქრები.

🔴 II საერთაშორისო სამეცნიეროკონფერენცია - ინტერდისციპლინური კვლევები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში - 2025 - გაიმართება სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურულ მუზეუმში, 2025 წლის 19 ივლისს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ტანძიაში,

⏰ 9 საათზე თბილისიდან გამგზავრება,
11 საათზე ჩასვლა ტანძიაში, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურულ მუზეუმში ვიზიტი, ექსპონატების დათვალიერება, გიდის მოსმენა,
11: 35 შესვენება (ყავა, ჩაი, ნამცხვარი)
11: 50 კონფერენციის გახსნა,
12 დან 15-მდე სექციური მუშაობა
15-დან 15:30-მდე სადილი,
15: 30 - 16: 30 მდე ქალაქ ბოლნისის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება
17 საათზე გამომგზავრება თბილისში.

✅საორგანიზაციო-სამეცნიერო კომიტეტი მიიღებს, როგორც ინდივიდუალურ, ასევე სექციურ მოხსენებებს. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მსურველ პირთა ჯგუფმა, რომელსაც ჰყავს სექციის თავმჯდომარე და მოდერატორი, შეუძლიათ წარმოადგინონ საკონფერეციოდ თეზისები (სექციას ჰყავს 1 თავმჯდომარე, 1 მოდერატორი და 4 მომხსენებელი, მოდერატორი შეიძლება იყოს სხვა სექციაში მომხსენებელი ან სექციის

თავმჯდომარე), მეილზე interdis.rc@gmail.com ინფორმაცია დეტალურად და გარკვევით უნდა იყოს მოწოდებული, თუ რა ფორმატით მონაწილეობს მომხსენებელი კონფერენციაში, ინდივიდუალურად თუ წარმოადგენს სექციას თავისი მონაწილეებით. სექციის თავმჯდომარეს შეუძლია მოხსენება წაიკითხოს იმავე სექციაში, მოდერატორმა კი საკუთარი მოხსენება უნდა წაიკითხოს სხვა სექციაში, სექციის თავმჯდომარე უწევს ორგანიზებას, რომ გადმოაგზავნოს მონაწილე პირების შესახებ ინფორმაცია და თეზისები ორგანიზაციის მეილზე, როდესაც მას უკვე შედგენილი აქვს სექცია მონაწილეებითა და მათი თეზისებით.

✅ საორგანიზაციო-სამეცნიერო კომიტეტისათვის მისაღებია თეზისები ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებებიდან. მოხსენებები შეიძლება განაწილდეს შემდეგ სექციებში:

🔴 1.ფოლკლორისტიკა, ლიტერატურის კრიტიკა/ლიტერატურათმცოდნეობა, შუასაუკუნეების კვლევები; ხელოვნებათმცოდნეობა, მსოფლიოს ქვეყნების ისტორია, ეთნოლოგია, თარგმანი;

🔴 2.აღმოსავლეთმცოდნეობა, აღმოსავლეთ ევროპის კულტურის კვლევები, ქრისტიანული კულტურა;

🔴 3. საერთაშორისო სამართალი, საეკლესიო სამართალი; მასმედიის ისტორია და თანამედროვეობა, გენდერული კვლევები, ტურიზმი;

🔴 4.ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, სწავლებისა და კვლევის მეთოდოლოგია, განათლების პოლიტიკა.

✅ საქართველოს მოქალაქე მომხსენებლებმა თეზისები (დაახლოებით 150-200 სიტყვა), უნდა გადმოაგზავნონ ქართულ და ინგლისურ ენებზე მეილზე interdis.rc@gmail.com ხოლო უცხოეთის მოქალაქეებმა - მხოლოდ ინგლისურად ან გერმანულად.

თეზისების გადმოგზავნის ვადებია: 📅 **2025 წლის 28 აპრილიდან 5 მაისამდე.**

❗ კონფერენციის მონაწილეებმა ველში - subject-უნდა მიუთითონ - II **საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისათვის.** სასურველია წერილში იყოს სექციის მითითება. საერთაშორისო კონფერენციის სამუშაო ენებია: ქართული, ინგლისური, გერმანული.

❗ თეზისების გაფორმება:

🔴 შრიფტი Sylfaen (ka), ზომა-12, (ქართულად), ხოლო ინგლისური, გერმანული ტექსტისათვის (Tines New Roman).

🔴 პირველ ხაზზე იწერება მომხსენებლის სახელი, გვარი

🔴 მეორე ხაზზე სასწავლებელი/სამსახური, სადაც სწავლობს/მუშაობს

🔴 მესამე ხაზზე, ქვეყანა, რომლის მოქალაქე/რეზიდენტიცაა მომხსენებელი

🔴 მეოთხე ხაზზე საკონტაქტო ინფორმაცია: მეილი, ტელეფონი

🔴 მეხუთე ხაზზე მოხსენების სათაური

🔴 მეექვსე ხაზიდან თეზისი (150-200 სიტყვა)

📩 კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ მეილზე თანხმობას კონფერენციის მომხსენებლები მეილზე მიიღებენ **2025 წლის 10 მაისამდე.**

✅ II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - ინტერდისციპლინური კვლევები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში-2025 - მონაწილეებისათვის დაწესებულია სარეგისტრაციო გადასახადი, რაც მოიცავს ტრანსპორტირების, კვების, თეზისების ორგანიზაციის ვებგვერდზე განთავსებისა და სერტიფიკატის ხარჯებს. ინტერდისციპლინური კვლევების საერთაშორისო ცენტრის წევრი საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატის) კონფერენციის მომხსენებლის სარეგისტრაციო გადასახადია - 70 ლარი, თუ ორი მომხსენებელი წარმოადგენს ერთ მოხსენებას, თითოეულის სარეგისტრაციო თანხაა 60 ლარი, ხოლო ორგანიზაციის წევრი დიპლომირებული და აკადემიური ხარისხის მქონე მომხსენებლებისათვის კონფერენციის სარეგისტრაციო გადასახადია - 100 ლარი. თუ ორი მომხსენებელი წარმოადგენს ერთ მოხსენებას, თითოეულის სარეგისტრაციო თანხაა 90 ლარი. უცხოეთის მოქალაქე სტუდენტებისათვის((ბაკალავრიატის), რომლებიც გაწევრიანებული არიან/ან გაწევრიანდებიან ორგანიზაციაში 28 აპრილამდე, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სარეგისტრაციო თანხა იქნება - 10 ევრო/დოლარი, ხოლო ორგანიზაციის სხვა წევრი დიპლომირებული და აკადემიური ხარისხის მქონე მომხსენებლებისათვის - 30 დოლარი/ევრო. გაწევრიანების მსურველი პირი უნდა დაგვიკავშირდეს მეილზე:

📩 interdis.rc@gmail.com. გასაწევრიანებლად უცხოელმა უნდა შეავსოს განცხადება ინგლისურ ენაზე და გადაიხადოს საწევრო -25 ლარი (უცხოურ ვალუტაზე ეს არის დაახლოებით 10 დოლარი/ევრო).

✅ სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატის), რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები და არ არიან ინტერდისციპლინური კვლევების საერთაშორისო ცენტრის წევრები,საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სარეგისტრაციო თანხაა - 80 ლარი, თუ ორი მომხსენებელი წარმოადგენს ერთ მოხსენებას, თითოეულის სარეგისტრაციო თანხაა 70 ლარი, სხვა არაწევრი დიპლომირებული/და ან აკადემიური ხარისხის მქონე მომხსენებლებისათვის კონფერენციის სარეგისტრაციო თანხაა - 130 ლარი, თუ ორი მომხსენებელი წარმოადგენს ერთ მოხსენებას, თითოეულის სარეგისტრაციო თანხაა 120 ლარი.

✅ უცხოეთის მოქალაქე ორგანიზაციის არაწევრი სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი) კონფერენციის სარეგისტრაციო თანხაა 25 დოლარი/ევრო და/ან შესაბამისი ექვივალენტი ლარში, თუ ორი მომხსენებელი წარმოადგენს ერთ მოხსენებას, თითოეული მომხსენებლის სარეგისტრაციო თანხა იქნება 20 დოლარი/ევრო. ხოლო სხვა კურსდამთავრებული, დიპლომირებული არაწევრი მომხსენებლებისათვის სარეგისტრაციო თანხაა - 35 დოლარი /ევრო და/ან სათანადო ექვივალენტი ლარში, თუ ორი მომხსენებელი წარმოადგენს ერთ მოხსენებას, თითოეულის სარეგისტრაციო თანხაა იქნება 30 დოლარი/ევრო.

🎉 ა(ა)იპ ინტერდისციპლინური კვლევების საერთაშორისო ცენტრის წევრებს შეუძლიათ დაესწრონ კონფერენციას, როგორც მსმენელები. მსმენელის სარეგისტრაციო თანხაა საქართველოს მოქალაქეებისათვის 50 ლარი (მოიცავს თბილისიდან ტანძიაში და პირიქით-ტანძიიდან თბილისში ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯს), ხოლო უცხოელი გაწევრიანებული პირებისათვის 30 დოლარი/ან ევრო (მოიცავს თბილისიდან ტანძიაში და პირიქით-ტანძიიდან თბილისში ტრანსპორტირების, კვებისა და თარჯიმნის ხარჯს),

🔴 II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - ინტერდისციპლინური კვლევები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში - 2025 - სარეგისტრაციო თანხის გადახდის ვადებია: **12- 18 მაისი,** 2025 წელი.

✅ II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - ინტერდისციპლინური კვლევები

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში-2025-ის პროგრამას კონფერენციის მონაწილეები და მსმენელები მეილზე მიიღებენ 20 მაისს.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ მეილზე: interdis.rc@gmail.com

ან დაგვირეკეთ: მობ. 555 900 730